ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4050385

ნომერი: AR1611656

თარიღი : 27.06.2018

გაცემის თარიღი : 04.07.2018

გაცნობის თარიღი : 05.07.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა დავით თავხელიძე , N 1;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვასილი გოგნიაშვილი პ/ნ 36001053190
- საგარეჯო ს. ხაშმი

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ:

- ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების მე-18 მუხლის მე-10 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20 %-ს. აღნიშნულის შესაბამისად დაანგარიშდეს სარეკონსტრუქციო ფასადისა და სარეკლამო აბრის პროცენტულობა და დატანილ იქნას ფოტომონტაჟზე.

- მოთხოვნის ტექსტურ ნაწილში განიმარტოს ინფორმაცია ვრცლად, იმ შემთხვევაში თუ სარეკლამო აბრის განთავსებას ითხოვთ საერთო სარგებლობის ფასადზე, აღნიშნულთან დაკავშირებით საჭიროა წარმოდგენილ იქნას ამხანაგობის კრების ოქმი (მობინადრეთა თანხმობა) რაც უნდა აიტვირთოს საჭიროების შემთხვევაში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის 2/3 თანხმობის" ველში (ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ მოწვეული კრების შედეგად შედგენილი) ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით კრების დამსწრე წევრების რაოდენობის მითითებით. `ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა 2/3 (67%) და ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოებს მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა. შესაბამისად წარმოსადგენია ოქმი, რომლის თანახმად კრების დამსწრე წევრები შეადგენენ ამხანაგობის წევრთა 2/3 და ჩასატარებელ სამშენებლო სამუშაოებს მხარს უჭერს დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.
ხოლო იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული ფასადი წარმოადგენს კერძო საკუთრებას წარმოდგენილ იქნას შესაბამისი ფართის ამონაწერი და საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი მესაკუთრ(ეებ)ის სათანადო წესით დამოწმებული თანხმობა.
ამასთან გაითვალისწინეთ, რომ სამსახურს წერილობითი დასტურის გაცემის მოთხოვნით უნდა მომართოს ფართის მესაკუთრემ ან მოსარგებლემ, ან მათმა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა. შესაბამისად, წარმოდგენილ უნდა იქნას (საჭიროების შემთხვევაში) განმცხადებლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, მესაკუთრის მიერ გაცემული მინდობილობა ან შესაძლებელია მესაკუთრე დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად. ხოლო, თუ სამსახურს მომართავს მიწის ნაკვეთის მოსარგებლე, საჭიროა წარმოდგენილი იქნას სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და საჭიროების შემთხვევაში მესაკუთრის თანხმობა, დამოწმებული სათანადო წესით.

თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი. გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში, წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.